ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N24

2021 წლის 31 მარტი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ." ქვეპუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (მ.ქათამაძე) თანხმობა გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე არსებული 25,0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (ს/კ N20.33.01.084) სტომატოლოგიური კაბინეტის გახსნის მიზნით ფ/პ ხათუნა ვერულიძეს;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე არსებული 25,0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის (ს/კ N20.33.01.084) წლიური საწყისი საიჯარო ქირა განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი